თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ფრაქცია ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო"-ს

სხდომის ო ქ მ ი № 4

ქ.თელავი

09 აგვისტო 2018 წ.

თავმჯდომარეობდა: ლ.ლილუაშვილი.

ესწრებოდნენ ფრაქციის წევრები: გიგა ორკოდაშვილი, ბესიკ ქოჩიშვილი, ზურაბ მუსაევი, ალექსანდრე შათირიშვილი, დავით ღაღანიძე, უჩა ჭოტიაშვილი, ლევან კოჭლოშვილი.

დ ღ ი ს   წ ე ს რ ი გ ი

1. ფრაქცია „ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველოს" თავმჯდომარის მოადგილის ზურაბ მუსაევის შვებულების შესახებ;
2. თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების შენობა - ნაგებობების რეაბილიტაცია;
3. მსჯელობა საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებით;
4. ჩრდილოეთ თელავის მხარის წყალმომარაგებასთან დაკავშირებით ორგანიზაციის ხელმძღვანელი მოწვევა;
5. სანიაღვრე სისტემების აღდგენა;
6. თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ შენობა ნაგებობების გარე ფასადებზე ქართული წარწერების გამოყენება;

მოისმინეს 1. ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო"-ს თავმჯდომარის მოადგილის ზურაბ მუსაევის შვებულების შესახებ;

აზრი გამოთქვეს: ფრაქციის წევრებმა და აღნიშნეს რომ წინააღმდეგები არ არიან ზურაბ მუსაევის შვებულებაში გასვლასთან დაკავშირებით;

გადაწყვიტეს: მიეცეს შვებულება ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს" თავმჯდომარის მოადგილეს ზურაბ მუსაევს 2018 წლის 13 აგვისტოდან 2018 წლის 24 აგვისტოს ჩათვლით, 10 სამუშაო დღე.

მოისმინეს 2. თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების შენობა - ნაგებობების რეაბილიტაციის შესახებ;

აზრი გამოთქვეს: ლევან ლილუაშვილმა აღნიშნა, რომ თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების შენობა-ნაგებობები საჭიროებენ რეაბილიტაციას, მას მხარი დაუჭირეს ფრაქციის სხვა წევრებმა

გადაწყვიტეს: თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების შენობა - ნაგებობების რეაბილიტაციის შესახებ მიზანშეწონილია წარედგინოს ბიუროს სხდომას;

მოისმინეს 3. მსჯელობა საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებით;

მოისმინეს 4. თელავის ჩრდილოეთ მხარეს ორ ეტაპიანი წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციის მიზნით, გაერთიანებული წყალმომარაგებს ორგანიზაციის ხელმძღვანელის მოწვევა;

აზრი გამოთქვეს: ლევან ლილუაშვილმა აღნიშნა, რომ თელავის მუნიციპალიტეტის ჩრდილოეთ მხარეს ესაჭიროება წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია, მას მხარი დაუჭირეს ფრაქციის სხვა წევრებმა;

გადაწყვიტეს: თელავის ჩრდილოეთ მხარეს ორ ეტაპიანი წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციის მიზნით, გაერთიანებული წყალმომარაგებს ორგანიზაციის ხელმძღვანელის მოწვევა ეცნობოს ბიუროს სხდომას;

მოისმინეს 5. თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სანიაღვრე სისტემების აღდგენა;

აზრი გამოთქვეს: ბესიკ ქოჩიშვილმა აღნიშნა, რომ თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საჭიროა სანიაღვრე სისტემების აღდგენა რეაბილიტაცი; მას მხარი დაუჭირეს ფრაქციის სხვა წევრებმა;

გადაწყვიტეს: თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სანიაღვრე სისტემების აღდგენის საჭიროების შესახებ ინფორმაცია წარედგინოს ბიუროს სხდომას;

მოისმინეს 6. თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ შენობა ნაგებობების გარე ფასადებზე ქართული წარწერების გამოყენება;

აზრი გამოთქვეს: ლევან ლილუაშვილმა აღნიშნა რომ ქართული წარწერების გამოუყენებლობა სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს მუნიციპალიტეტისთვის, მას მხარი დაუჭირეს ფრაქციის სხვა წევრებმა;

გადაწყვიტეს: დაევალოს მერიის ზედამხედველობის სამსახურს რათა დაიწყონ მათ შესაბამისი მითითებების გაცემა და მისცენ გონივრული ვადა შენობის მესაკუთრეებს რათა წარწერები გაკეთდეს ქართულ ენაზე;

ფრაქციის თავმჯდომარე: ლ. ლილუაშვილი